კუდიანის არქეტიპის განვითარება დიდ ბრიტანეთში

ანა ყურულიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიეტა ჩიხლაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ყურულიშვილი

02.07.2022

აბსტრაქტი

კუდიანის არქეტიპი დიდ ბრიტანეთში საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმაციას. მისი წარმომავლობის ისტორია ბუნდოვანი და არაერთგვაროვანია, თუმცა, უძველესი რიტუალური დღესასწაულების განვითარების პერიოდში ზებუნებრივი და მაგიური არ იდევნებოდა, განსხვავებით შუა საუკუნეებისგან, როდესაც ნებისმიერი სახის მაგია, სასიკეთოდ იყო მიმართული თუ საზიანოდ, ეშმაკისეულად ითვლებოდა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ქალღმერთის ხატება ბრიტანეთის კუნძულებზე, კელტების რიტუალური დღესასწაულები და მეფე ჯეიმს I-ის „დემონოლოგია“, რათა ვაჩვენო, თუ რა რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა ჰქონდათ ერთი მხრივ, წარმართ კელტებს და, მეორე მხრივ, შუა საუკუნეების ბრიტანელებს, და თუ როგორ ჩამოყალიბდა კუდიანის სახე ბრიტანეთის კონტექსტში.

ნაშრომის მიზანია ბრიტანეთის კუნძულებზე კუდიანის არქეტიპის განვითარებისთვის თვალის მიდევნება და *კუდიანისა* და *ქალღმერთის* შორის არსებული შესაძლო კავშირის განხილვა.

საკვანძო სიტყვები: კუდიანი, ქალღმერთი, დღესასწაული, კელტები.

Abstract

In the UK, the witch archetype has been undergoing a transformation over the centuries. The history of its origins is obscure and ambivalent, although we can say that during the development of ancient ritual festivals, the supernatural and the magical were not persecuted, unlike the Middle Ages, when any kind of magic, whether directed for good or for evil, was considered diabolical.

I will discuss the ancient Celtic ritual year, the representation of the goddess in the British Isles, and King James I's "Daemonologie", and will show the beliefs and worldviews of the pagan Celts and the Middle Ages British, as well as how the image of the witch in the British context was formed.

The aim of the thesis is to follow the development of the witch archetype in the British Isles and to discuss the possible connection between the *witch* and the *goddess*.

Key words: Witch, Goddess, Festival, Celts.